2014 წლის 18 ნოემბრის 109/ბ ხელშეკრულებასთან

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N109/ბ-1

ქ. თბილისი „12" დეკემბერი 2014 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ჯაფარიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „დოლფინ dolphin" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ვლადიმერ მამაცაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიასა და შპს „დოლფინ dolphin"-ს შორის 2014 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული N109/ბ ხელშეკრულების მე-12 მუხლის საფუძველზე შევთანხმდით ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების განხორციელებაზე:

1. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 იანვრამდე."

2. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2 პუნქტი შეცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „საქონლის მიწოდების ვადები ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით;"

3. ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან, (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ეს გადამხდელი, დღგ-ე ეს არის გადამხდელობის შესახებ შესაბამისი ცნობის წარმოდგენიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 31 დეკემბრისა.

4. ის პუნქტები რომლებსაც შეთანხმება არ შეხებია რჩება უცვლელად;

5. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 იანვრამდე;

6. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2014 წლის 18 ნოემბერს გაფორმებული N109/ბ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

7. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს;

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია წარმოდგენილი დირექტორის **თამარ ჯაფარიძის** სახით, **მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10 **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ს/კ 206348987	**შპს „დოლფინ dolphin"** წარმოდგენილი **დირექტორის ვლადიმერ მამაცაშილის** სახით, **მისამართი:** ქ. მცხეთა, ვაჟა-ფშაველას N47; ს/კ 405015727 **საბანკო რეკვიზიტები:** სს „საქართველოს ბანკი", ანგარიშის ნომერი #GE 58 BG 00 00 00 07 74 81 85 00, ბანკის კოდი BAGAGE22
თამარ ჯაფარიძე	**ვლადიმერ მამაცაშვილი**